

2025 წლის გაზაფხულის სეზონის მათემატიკის ოლიმპიადის I ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-8 კლასი

ტესტი შედგება 10 ძირითადი დავალებისგან და მისი ჯამური ქულაა 50. თითოეული სავარჯიშო 5-ქულიანია, ის მოიცავს პირობას და სამ სავარაუდო პასუხს, რომელთაგანაც მოსწავლემ მხოლოდ ერთი - სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. I-დან II ტურში გადასასვლელად, მოსწავლემ უნდა დააგროვოს სულ მცირე 21 ქულა.

სავარჯიშოები შედგენილია რიცხვების, რიცხვებზე მოქმედებების, პროცენტების, განტოლების, ფიგურების თემატიკებზე.

• რიცხვები და რიცხვებზე მოქმედებები, პროცენტები

- მოსწავლემ უნდა შეძლოს რიცხვებზე მოქმედებების შესრულება და რიცხვის წარმოდგენა პროცენტებში.

მაგალითი: თავოს ხელფასი 2 წლის განმავლობაში 100%-ით გაეზარდა. რამდენჯერ მეტი ხელფასი აქვს ახლა თავდაპირველთან შედარებით?

- A) 2-ჯერ B) 1-ჯერ C) იგივეა

• რიცხვებზე მოქმედებები, განტოლების ამოხსნა.

- მოსწავლემ უნდა შეძლოს ნატურალურ რიცხვების გამრავლება ან გაყოფა, უნდა იცოდეს ზოგიერთ ციფრზე გაყოფადობის ნიშნები, ურთიერთმარტივი რიცხვების ამოცნობა, ნაშთის პოვნა და შეძლოს რიცხვების შედარება; ამ მოქმედებების საშუალებით კი განტოლების ამოხსნა, რიცხვის კვადრატში და კუბში აყვანა.

მაგალითი: რამდენი მთელი ამონახსნი აქვს განტოლებას $x < 0$?

- A) არცერთი B) 1 C) უამრავი

• სივრცული და ბრტყელი ფიგურები

- მოსწავლემ უნდა იცოდეს ზოგიერთი სივრცული და ბრტყელი ფიგურა და მათი თვისებები. პარალელური და გადამკვეთი წრფეებისა და წარმოქმნილი კუთხეების თვისებები.

მაგალითი: პარალელური წრფეები მესამე წრფით გადაიკვეთა, ტოლია თუ არა მოსაზღვრე კუთხეები?

- A) ტოლია B) არაა ტოლი C) ვერ დავადგენთ